ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1823356

ნომერი: AR1296290

თარიღი : 24.03.2015

გაცემის თარიღი : 06.04.2015

გაცნობის თარიღი : 06.04.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი "ა" , ხიზაბავრის ქუჩის მიმდებარედ., (ნაკვეთი N18/73) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა გიგაშვილი პ/ნ 01017055357
- თბილისი რუსთავის გზატ. N 28ა ბ. 31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 24/03/2015წ. #AR1296290 განაცხადით მომართა ნიკა გიგაშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.12.2014 წ. #1628139 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა და წარმოდგენილი გეგმების დართვა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.12.2014 წ. #1628139 ბრძანებით სექტორი–გლდანი, მიკრო/რაიონი "ა", ხიზაბავრის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი N18/73)
ი.მ.ა. "გლდანი – 999"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.11.12.018.073) შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 06 დეკემბრიდან 2016 წლის 06 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დამკვეთად დაფიქსირდა ი.მ.ა.„გლდანი 999“.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, არასწორად განხორციელდა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დათვლა, კერძოდ კი, საერთო ფართი, ნაცვლად 25969.2 მ2-ისა უნდა იყოს 22528.6 მ2; საცხოვრებელი ფართი ნაცვლად 15014.8 მ2-ისა უნდა იყოს 14054.6 მ2; საზაფხულო ფართი დამტკიცებულია 2617.1 მ2-ისა უნდა იყოს 2108.6 მ2; დამხმარე ფართი დამტკიცებულია 4214.2 მ2-ისა უნდა იყოს 2175.3 მ2. აღნიშნული მაჩვენებლები შესაბამისად აისახა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.12.2014 წ. #1628139 ბრძანებაში.
აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი მოითხოვს 05.12.2014 წ. #1628139 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ კი, ბრძანებისთვის AR1296290 განცხადებით წარმოდგენილი გეგმების დართვასა და ტექნიკურ-ეკონომიკურ შემდეგი სახით დაფიქსირებას: 1.საერთო ფართობი 22528.6 მ2 2.საცხოვრებელი ფართობი 14054.6 მ2 3.კომერციული ფართობი 2206.2 მ2 4.საზაფხულო ფართობი 2108.6 მ2 5.სარდაფის ფართობი 1070.4 მ2 6.კიბის უჯრედ. და სადარბაზოს ფართ. 534.4 მ2 7.დამხმარე ფართობი 2175.3 მ2 8.ავტოსადგომის ფართობი 379.1 მ2.
სამსახურმა შეისწავლა 05.12.2014 წ. #1628139 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტისა და AR1296290 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობა და დააგინა, რომ AR1296290 განცხადებისთვის დართული გეგმებით იცვლება სამშენებლო ობიექტის შიდა დაგეგმარება.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სამშენებლო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57-ე დადგენილების 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამშენებლო დოკუმენტში ცვლილებების შეტანა საჭიროებს მშენებლობის ნებართვის თავიდან აღებას, გარდა ამავე დადგენილების 62-ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.
იქიდან გამომდინარე, რომ ცვლილებების განხორციელება სცდება სამართლებრივ საკითხს, რამდენადაც წარმოდგენილი გეგმების თანახმად იცვლება სამსახურის 05.12.2014 წ. #1628139 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული შიდა დაგეგმარება, საჭიროა განცხადების ნომეკალატურის ცვლილება, კერძოდ კი მოთხოვნილი ცვლილებების განხორციელება დასაშვებია კორექტირებული არქიტექტორული პროექტის შეთანხმების გზით.
აქვე განგიმარტავთ, რომ მოგეცემათ განცხადების ნომეკლატურის ცვლილების საშუალება, რის შემდეგაც განცხადება უნდა დაარეგისტრიროთ „შეთანმხებული პროექტის ცვლილების“ ველში.
სწორი ნომენკლატურის არჩევისა და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, სამსახური იმსჯელებს განაცხადში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიღებულ გადაწყვეტილებას გაცნობებთ ელექტრონულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.